„პროექტი“

ხელშეკრულება № 186

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ჭიათურა 2015 წლის 15 დეკემბერი

11. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ ააიპ **„ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის №27 კომპლექსური სასპორტო სკოლა“** (მისამართი ჭავჭავაძის ქ. №34) დირექტორის ჯამბულ ვაშაძის სახით, შემდგომში „შემსყიდველი“ და მეორეს მხრივ [illegible] [illegible] 61 5 0102 601030 1 სახით შემდგომში „მიმწოდებელი“.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია „ღია საქალაქთაშორისო ტურნირი კრივში“ ააიპ „ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის N27 კომპლექსური სასპორტო სკოლის“ მოკრივეთა გუნდის სასადილოს მომსახურეობის გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვა. წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო საქართველოს კანონის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მუხლი მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

2.2 კლასიფიკატორის კოდი – 55510000.

2.3 გამარტივებული შესყიდვის შეთანხმების მოდული SMP150000923

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 576 (ხუთას სამოცდა ექვსმეტი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. „მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას:

4.1.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში განახორციელოს ხელშეკრულების საგნად მიჩნეული მომოსახურეობის გაწევა.

4.1.2. მომსახურება გაწიოს დროულად და ხარისხიანად.

4.1.3. „შემსყიდველის“ მოთხოვნის შემთხვევაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის შესახებ წარუდგინოს მას ინფორმაცია.

4.1.4. მომსახურების გაწევის ვადა განისაზღვრება 2015 წლის 21 დეკემბრის ჩათვლით.

4.2. „შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას:

4.2.1. დროულად გადარიცხოს თანხები „მიმწოდებლის“ ანგარიშზე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

5. მხარეთა უფლებები

5.1. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

5.1. აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხისა და მოცულობის კონტროლი, მომსახურების ნებისმიერ ეტაპზე.

5.2. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

5.2.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

6. ანგარიშსწორება

6.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში;

6.2. ანგარიშსწორება მოხდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, რომელსაც უნდა დაერთოს:

ა) მიღება-ჩაბარების აქტი;

ბ) ანგარიშ-ფაქტურა ან სასაქონლო ზედნადები;

გ) კვების მენიუ

დ) შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი სხვა დოკუმენტაცია.

6.3. ანგარიშსწორების ვადაა მიმწოდებლის მიერ საფინანსო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუმეტეს 10 დღე.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. შემსყიდველი შესყიდვის ობიექტის მიღებას აწარმოებს მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით.

7.2. გაწეული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადების, ანგარიშ-ფაქტურის ან სხვა დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

8. დაუძლეველი პირობები

8.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის დაუძლეველი პირობების გარემოების შედეგი.

8.2. „დაუძლეველი პირობები“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან

მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3. დაუძლეველი პირობების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან დაუძლეველი პირობების ზეგავლენისაგან.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 დაუძლეველი პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ დადგენილ ვადაში მომსახურების გაუწევლობის შემთხვევაში მიმწოდებელი ჯარიმდება და ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის იხდის ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,1%-ს, ხოლო ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში 250 ლარს.

9.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ მათ შორის წარმოქმნილი ყველა უთანხმოება და დავა, ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

10.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

11. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

11.1. შემსყიდველს უფლება აქვს, განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის კონტროლი ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა. ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები. იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი

11.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1. არავითარი ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

12.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესისს დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია, შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. გამოყენებული სამართალი

14.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და ვრცელდება 2015 წლის 15 დეკემბრის წარმოშობილ ვალდებულებებზე.

15.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

16. დამატებითი პირობა

16.1 ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

16.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან“, ერთი - „მიმწოდებელთან“ .

17. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი“
ააიპ „ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის N27 კომპლექსური სასპორტო სკოლა“	
მისამართი: ჭიათურა, ჭავჭავაძის ქ.№37	
საიდენტიფიკაციო კოდი 215611602	
სს „საქართველოს ბანკი“	
ბანკის კოდი BAGAGE22	
ანგარიშის № GE91BG0000000215086002	
ტელ.: 0 479 251327; +995 595 78 43 79	
ააიპ „ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის N27 კომპლექსური სასპორტო სკოლის“ დირექტორი ჯამბულ ვაშაძის	